კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ისანი სამგორის რაიონი, დედოფლისწყაროს I შესახვევის კუთხეში მდებარე შენობის მდგრადობის შესახებ.

აღნიშნული ობიექტის "საცხოვრებელი შენობის" მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი სამგორის რაიონი, დედოფლისწყაროს I შესახვევის კუთხეში.

შენობის კონსტრუქციული ნაწილის მუშა პროექტი დამუშავებულია ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული ნახაზების მიხედვით.

შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 28.5X27.3 (მ). გააჩნია ერთი მიწისქვეშა სართული, სიმაღლით 3.30 მ. მისი მიწისზედა ნაწილი წარმოადგენილია ექვსი სართულით, I სართულის სიმაღლე 4.95 მ, II სართულის სიმაღლე 3.30 მ. და ა.შ.

სეისმური დარაიონების მიხედვით სამშენებლო ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან ზონაში.

პირობით ნიშნულად 0.00 მიღებულია შენობის I სართულის იატაკის დონე, რომელიც შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს 462.78 მ-ს.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარებულია 2012 წლის ნოემბერში შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. ქვაბულის ფუძეს წარმოადგენს ძირითად ქანი ფენა (4) რომელიც უნდა მოეწყოს შემკვრივებული ღორღის ბალიში

ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე	ρ= 1.95 გ/სმ^3;
დეფორმაციის მოდული	E = 25პა (250 კგძ/სმ^2;)
საანგარიშო წინაღობა	R_0 = 350 კპა (3.5 კგძ/სმ^2;)
საგების კოეფიციენტი	K = 5 კგ/სმ^3;
პუასონის კოეფიციენტი	μ = 0.42;

ფუძე გრუნტების დამარილიანებულობის გამო მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის (ბეტონის მომზადება, საძირკვლის ფილა სფ-1, 0.00 მ. ნიშნულის ქვევით ნაგებობის გარე პერიმეტრული კედლები) გამოყენებული იქნა სულფატმდგრად ცემენტებზე დამზადებული W_8 მარკის წყალშეუღწევადობის ბეტონით.

ნაგებობა კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენს რკინაბეტონის ჩონჩხელს, რომლის ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სივრცითი კარკასი ხისტი კვანძებით. სივრცით-გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტილებები აკმაყოფილებენ სეისმურ რაიონებში მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ზოგადი აღწერა:
საძირკველი – მონ. რ/ბ ამოჭრილი ფილა სისქით 700 (მმ), ბეტონის კლასი B25;
კედლები – მონ. რკ/ბ-ის სისქით 200 და 250 (მმ), ბეტონის კლასი B25;
სვეტები – მონ. რკ/ბ-ის, სხვადასხვა ზომის და ფორმის განივკვეთით, ბეტონის კლასი B25;
რიგელები – მონ. რკ/ბ-ის, სხვადასხვა ზომის და ფორმის განივკვეთით, ბეტონიშ კლასი B25;
გადახურვის ფილები, მონ. რკ/ბ-ის: სისქით - 180 (მმ); ბეტონის კლასი B25;
კიბეები – მონ. რკ/ბ-ის, პანდუსის სისქე 160 (მმ). ბეტონის კლასი B25;
კარკასის შევსება - ბლოკის, ცვლადი სისქის, რომელიც ჩამაგრებულია კარკასთან სათანადო დეტალებით;

კონსტრუქტორი: ა.აბუანდაძე

06.11.2014